

K 17.451  
2

  
ქართული  
ანტიკობათმცოდნეობის  
სამეცნიერო ბიბლიოთეკა

17. 451  
2

მა სპ. ქულიძისა № 16



გ. ლ. ავსტრიული რევოლუცია

შეამდინეთ შენებლენო. ინიტლირეთე ქაქ!

# რა უნდათ სოციალ- დემოკრატებს

(გერმანიულიდან)

თარგმანი ს. ქულიძისა.



მათუმი

ელექტრონით მბეჭდავი „ჩენოშოროსკი ვესტნიკისა“

1906

83

გამოცემა სპ. ქალიძისა № 16



მ. ვაჟა-ფშაველას

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

სოიკნიკთი, ვიწროვ. 329.142

რა უნდათ სოციალ-დემოკრატებს

(გერმანიიდან)

თარგმანი ს. ქალიძისა.



მათუბი

ელექტრონით მბეჭდავი „ჩერნომორსკო ვესტნიკისა“

1906

Handwritten notes on the left margin: 1420, 1420

15451  
2

საქართველოს  
საბჭოთაო  
საქართველო


Дозвол. Ценз. Тифлисъ, 3 Февраля. 1906 г.

~~F19542~~  
2

საქართველოს  
საბჭოთაო  
საქართველო  
საბჭოთაო  
საქართველო

ჩვენი გამოცემანი

№ 1 შოთა რუსთაველი და მისი ცოლი	. 10 კ.
» 3 ლექსები ნიკოლოზ ბარათაშვილისა	. 20 »
» 4 ქნარი, ქართვ. და უცხ. პოეტ. ლექ.	20 »
» 5 ოპ მარგალიტავ, სასიმღ. ლექსები	. 10 »
» 6 სალამური, სასიმღერო ლექსები	. 10 »
» 7 საჭრფო, სასიმღერო ლექსები	. 10 »
» 8 1 კილ-ტირილი, სატირული ლექს.	. 10 »
» 9 ორი პოემა I „ებიზოდი ყაჩაღის ცხოვ- რებ.“ II უკან. დღე სიკვ. დასასჯ.	. 5 »
» 10 ჩანგური, სასიმღერო ლექს. და სცენ.	60 »
» „ იგივე უკეთეს ქაღალ. მშვენიერის ყდით	1 მ.
» 11 ცისკარი ლექსები რუხაძისა	. 15 კ.
» 12 ნესტარი, სატირა	. . . 5 კ.



მივიღეთ ახალი რუს. იაფფასიანი წიგნაკები  
თანამედროვე კითხვების შესახებ  
მარქსისა, ენგელსისა, ლასხალისა, ბებელისა, ლიბ-  
კნეხტისა, კაუცკისა, ლაფარგისა, ჟორესისა, ლონ-  
გესი, ბრაკკესი და სხვა.



ვიდრე უმთავრეს საგანს შევვებოდეთ, მანამ  
 ჩამდენიმე შენიშვნა ჩვენი პარტიის სახელწოდება-  
 ზე. ჩვენს პარტიას ჰქვია სოციალისტური ანუ მუ-  
 შათა სოციალისტური პარტია; ჩვენი დროშა სო-  
 ციალდემოკრატიის, სოციალიზმის დროშაა. სო-  
 ციალდემოკრატიული და სოციალდემოკრატია ნიშ-  
 ნავს უფრო მეტს, ვიდრე დემოკრატიული და დე-  
 მოკრატია. დემოკრატია ჰქვია ჯერ ერთი სახალხო  
 მართველობას და მეორეთ იმათს ორგანიზაციას,  
 რომელნიც ცდილობენ ამ უკანასკნელის მოპოებას;  
 დემოკრატიული მოთხოვნილებანი ისეთი მოთხოვ-  
 ნილებანია, რომელთა მიზანი—სახალხო მმართვე-  
 ლობაა. სიტყვა „დემოკრატია“ ჩამდენიმეთ ითარ-  
 ქმნება, როგორც „ხალხის ბატონობა“ (ნახელ-  
 სძღვანელებია ბერძნულიდან), მაგრამ ეს წმინდათ  
 სე არ არის და ყოველ შემთხვევაში არ აღნიშნავს  
 სიტყვა „დემოკრატიის“ გონივრულ შეგნებას.  
 ხალხი არის მთელი სახელმწიფოს მოქალაქეთა კრე-  
 ბული და ასეთს კი, როგორც მთელს, არ შეუძლია  
 ბატონოს, რადგან მის გარეშე აღარავინ რჩება,  
 ვისზედაც შეიძლებოდეს ბატონობა. გაბატონებულს  
 მუდამ სურს იყოლიოს დამორჩილებული და იქ,  
 სადაც არავინ არ მორჩილობს იმიტომ, რომ ყვე-  
 ლა იღებს მონაწილეობას მართვა გამგეობაში, ექვ  
 არეშეა არ არსებობს ბატონობაც.

ყოვლად გონივრული მოთხოვნილებაა ის, რომ



ნულება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ თავის მოქალაქეებს მოუბოვოს, რაც შეიძლება უფრო მეტი და უმაღლესი კეთილდღეობა; და რომ ამ უკანასკნელი მიზნის განხორციელება შეიძლება მხოლოდ შრომის სამართლიანი ორგანიზაციით, რომელიც სჭირია საზოგადოებას. სიტყვა „სოციალ-დემოკრატისა“ და სოციალდემოკრატიულში ასეთი აზრია გამოთქმული. სოციალური—ნიშნავს საზოგადოებრივს, რომელიც ეხება საზოგადოებას; „სოციალ-დემოკრატია“ აღნიშნავს სახალხო მმართველობას, როგორც სახელმწიფოებრივი ისე საზოგადოებრივი მხრივ, თავისუფალს, გონივრულ სახელმწიფოსა და საზოგადოებას ადამიანობის შესაფერს. „სოციალიზმი“—ეს მეცნიერებაა საზოგადოებაზე, რომელიც ამჟამად მოწყობილია უწესრიგოთ და უხეიროთ და რომელიც ჩვენ უნდა მოვაწყოთ წესიერათ და რიგიანათ; „სოციალისტური“—აღნიშნავს „იმავე მეცნიერებას, რომელიც ეხება საზოგადოებას“ და ან „მისი პრინციპებისა და გვარად მომქმედს“; სოციალისტი ეწოდება იმას, ვინც იღწვის, რომ გარდაჰქმნას საზოგადოება სოციალიზმის სახით,—ასე რომ „სოციალისტსა“ და „სოციალისტურს“ არსებითად ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ, რაც „სოციალდემოკრატსა“ და „სოციალ-დემოკრატიულს“.

მუშათა პარტიათ ვიწოდებით ჩვენ იმიტომ, რომ მშრომელი ხალხი ყველაზე უფრო მეტათ დაინტერესებულთა ასეთი წყობილების შემოღებაში



მთელი სახელმწიფოს ყველა მოქალაქენი კვირველია მცირე წლოვანთა გარდა—თანაბარი უფლებებით იღებდენ მონაწილეობას სახელმწიფო მართვა-გამგეობაში და ისიც ცხადია, რომ ასეთ სისტემის შემოღება მოსპობდა აგრეთვე საზოგადოებრივ უსამართლობას. რატომ არ უნდა დავიკვავთ „დემოკრატია“, რომელსაცა აქვს თავისი ისტორია? სწორეთ იმიტომ, რომ მასა აქვს თავის ისტორია. მას შემდეგ, რაც ბურჟუაზიული საზოგადოება, კლასობრივი წინააღმდეგობა და კლასობრივი ბრძოლა აღორძინდა, დემოკრატიის დროშით ხშირათ სარგებლობდენ იმ განზრახვით, რომ ხალხისათვის დაეთარათ ის უფსკრული, რომელიც ჰყოფდა საზოგადოებას სხვა და სხვა კლასებათ დიახ, მშრომელი ხალხის მტერები ჩვენი თვლი წინ იბრძოდენ დემოკრატიის დროშით მუშა ხალხის წინააღმდეგ. და თითქმის იმ დემოკრატებში შეხედულებითაც კი, რომელთაც გულწრფელა სურთ სახალხო მმართველობა, სიტყვა „დემოკრატია“ განსაზღვრული აზრი აქვს, რომელიც არ სებითად ეხება მხოლოდ პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ მხარეებს. ასეთი შემეცნება ულოდიკოა, მარა ეს ასეა და ამიტომ დემოკრატიის სახელს აშეეძლო დაეკმაყოფილებია ის პარტია, რომლი მისწრაფებაც მართალია იგივე სახალხო მმართველობის დამყარებაა, მარა ამასთანავე გრძნობს რომ მარტო მმართველობა არ არის მიზანი, არამედ იგია საშვალეა; რომ სახელმწიფოს დანი





და ამასთან თავისი რაოდენობის მეოხებით მხოლოდ მას შესწევს საჭირო ძალ-ღონე ამის განსახორციელებლათ. და ისიც საჭიროა კარგათ გვახსოვდეს, რომ მშრომელ ხალხათ ჩვენ ვგულისხმობთ არა მარტო მრეწველ მუშებს, არამედ ყველა იმათ, ვინც სხვისი შრომით არა ცხოვრობს, მაშასადამე ქალაქისა და სოფლის დაქირავებულ მუშათა გარდა, წვრილ გლეხებს, ხელმოკლე ხელოსნებსა და წვრილმან ვაჭრებს, რომელნიც ერთგვარათ ჰგმინავენ კაპიტალის უღელ ქვეშ ისე, როგორც დაქირავებული მუშები და უმრავლეს შემთხვევაში კიდევ უფრო მეტათაც. ასი ათასობით არიან ისეთი ხელმოკლე და ღარიბი ხელოსნები, რომელნიც შაბათობით იძულებულნი არიან მთელი საათობით ირბინონ ქალაქში თავ ქუდ მოგლეჯილი, რომ როგორმე ისესხონ და მოაგროვონ ფული თავის „მუშების“ კვირეული ქირის გასასტუმრებლათ; იმათ კიდევ გაეხარებოდათ, რომ მათი „მოგება“ უღრიდეს ფაბრიკის მუშის ხელფასს, მარა გადავიდეთ ჩვენს უმთავრეს საკითხზე. — 1875 წ. მაისის 22—23 რიცხვებში მთელი გერმანიის სოციალდემოკრატიების დელეგატებს (რიცხვით 187) სხდომა ჰქონდა გოტში, და ხანგრძლივის და მომწიფებულის მსჯელობის შემდეგ ერთხმათ მიიღეს შემდეგი პროგრამა:

I. ყოველგვარი სიმდიდრისა და კულტურის წყარო შრომაა და ამიტომ, რადგან ყველასათვის სასარგებლო შრომა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ



თუ იგი საზოგადოების განკარგულებაშია, ამისათვის შრომის ნაყოფი ეკუთვნის საზოგადოების ე. ი. ყველა მის წევრებს, იმ საყოველთაო ვალდებულებით, რომ თვითოეული და ყველა შრომობდეს და სარგებლობდეს გონივრულათ და თანასწორის უფლებით. თანამედროვე საზოგადოებაში შრომის იარაღები შეადგენენ კაპიტალისტთა კლასის მონოპოლიას; აქედან გამომდინარე დამოკიდებულება ხდება მშრომელი კლასის ყოველგვარ ფორმის სილატაკისა და მონობის მიზეზათ.

შრომის განთავისუფლება თხოულობს შრომის იარაღების საზოგადოებრივ საკუთრებათ გარდაქმნას და საზოგადო შრომის საამხანაგოთ მოწესრიგებას, შრომის ნაწარმოებთა საზოგადო სარგებლობის, მოხმარის და სამართლიანი განაწილების მიხედვით.

შრომის განთავისუფლება უნდა მოხდეს თვით მშრომელი კლასის მეოხებით, რომელთანაც ყველა სხვა კლასები წარმოედგენენ ერთ რეაქციონურ მასსას.

II. ამ პრინციპების მიხედვით გერმანიის სოციალისტური მუშათა პარტია იღწვის დაამყაროს თავისუფალი სახელმწიფო და სოციალისტური საზოგადოება, ცდილობს სამუშაო ქირის რკინის კანონის აღმოფხვრას დაქირავებული შრომის სისტემის ყოველგვარი ფორმის განადგურებითა და ყოველგვარი სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობის მოსპობის მეოხებით.



გერმანიის სოციალისტური მუშათა პარტიის იბრძვის რა ეროვნულ საზღვრებში, ჰგრძნობს მუშათა მოძრაობის საერთაშორისო ხასიათს და ამიტომ შეასრულებს ყოველგვარ მოვალეობას, რასაც კი აკისრებს მუშებს საერთაშორისო მოძრაობა კაცთ ნათესავთა შორის ძმობა ერთობის განსახორციელებლათ.

გერმანიის სოციალისტური მუშათა პარტია მოითხოვს, როგორც სახელმწიფოს საფუძველს:

1. საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ საარჩევნო უფლებას საიდუმლო და სავალდებულო ხმის მიცემით ყველა მოქალაქეთათვის, რომელთაც კი მიუღწევიათ ოც წლამდის, ყველა სახელმწიფო და საზოგადო არჩევნებსა და კენჭის ყრაში. არჩევნები და კენჭისყრა უნდა ინიშნებოდეს კვირაობით ან უქმე დღეებში.

2) პირდაპირ სახალხო კანონმდებლობას და ომისა და მშვიდობიანობის საკითხების ხალხის ხელში გადასვლას.

3) საყოველთაო შეიარაღებას და სამუდამო ჯარის სახალხო მილიციით შეცვლას.

4) ყველა განსაკუთრებული კანონების გაუქმებას, განსაკუთრებით ბეჭედიითი სიტყვის, კავშირების და კრებების შესახებ; საზოგადოთ ყოველგვარ კანონების, რომელნიც კი ზღუდავენ რწმენის თავისუფლათ გამოთქმას და აზრებისა და გამოკვლევათა თავისუფლებას.

5) სამსჯავროს, მართლ მსაჯულების ხალხის



ხელში გადაცემას და სასამართლო საქმეების უფასოდ წარმოებას.

6) ხალხის საყოველთაო და თანასწორ აღზრდა-განათლებას სახელმწიფოს მიერ, საყოველთაო სასკოლო ბეგარას, ყველა სასწავლებლებში უსასყიდლოთ სწავლებას და სარწმუნოების კერძო საქმეთ აღიარებას.

გერმანიის სოციალისტური მუშათა პარტია, თანამედროვე საზოგადოების ფარგალში მოითხოვს:

1) პოლიტიკურ უფლებათა და თავისუფლებათა რაც შეიძლება მეტს გაფართოებას ზემოთ მოყვანილ მოთხოვნილებათა მიხედვით.

2) მხოლოდ ერთათ ერთ პროგრესიულ შემოსავლისადაგვარ გადასახადს სახელმწიფოსა და სათემოს არსებულ, ყოველგვარ, — განსაკუთრებით ხალხის შემაწუხებელ, მრუდე გადასახადთა მაგიერ.

3) კოალიციის განუსაზღვრელ უფლებას.

4) ნორმალურ სამუშაო დღეს, საზოგადო მოთხოვნილებათა შესაფერს და კვირაობით მუშაობის აღკრძალვას.

5) ბავშვებისა და დედაკაცებისათვის აღკრძალვას ყოველგვარი შრომისას, რომელნიც კი მავნებელია ჯანმრთელობისა და ზნეობისათვის.

6) კანონმდებლობას მუშათა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დამცველს, სანიტარულ კანტროლს მუშათა ბინებზე, თვალ-ყურის გდებას სამთამადნო, საფაბრიკო, სახელოსნო და საშინაო მრეწველობაზე მუშებისაგან არჩეულ მოხელეთა საშვალეებით



და ნამდვილ კანონმდებლობას მწარმოებელთა სუხის მგებლობაზე.

7) სატუსალო სამუშაოთა გაწესრიგებას და

8) სრულ თვითმართველობას ყველა მუშათა დამხმარებელ და საურთიერთო დამხმარებელ კასებისას.

არც ერთი ადამიანი, ვისაც კი გულწრფელათ სურს სიკეთე თავისი მოყვასისათვის, არამცთუ უარს ჰყოფს ამ პროგრამას, არამედ სიხარულითაც მიიღებს. არც ერთი ადამიანი, რომელიც უკმაყოფილოა სულის შემხუთველი ექსპლოატაციით და არ არის დაინტერესებული მოყვასის შევიწროებასა და უღელფაში არ უარსყოფს, რომ ამ პროგრამის განხორციელება იქნებოდა ხალხისათვის ბედნიერება.

განვიხილოთ სახელმწიფოსა და საზოგადოების ახლანდელი მდგომარეობა.

ბატონობისა და კმაყოფილების ყოველ გვარი წყარო და საშვალეა ხელთ უპყრია ერთ მუქა უმცირესობას, და ეს უმცირესობაც რასაკვირველია თავისი უფლებით სარგებლობს ყოველგვარ უპირატესობათა მონოპოლიის შესარჩენათ და განსამტკიცებლათ, იმ უპირატესობათა, რომელნიც კი მოუტანია მათთვის სახელმწიფოსა და საზოგადოებაში გაბატონებას და ამასთანავე ცდილობს ხელი შეუშალოს უმრავლესობას პოლიტიკურ და სოციალურ უფლებათა მოხვეჭაში.

ვის უჭირავს პოლიტიკური ბატონობა? ვისა და შთამომავლობითა და სიმდიდრით უპირატეს



პირობებში მყოფ ერთ მუჰა უმცირესობას. ხალხის უდიდესი უმრავლესობა კი სრულიად მოკლებულია ძალასა და გავლენას და მაშასადამე უფლებასაც, ვინაიდან უფლება, რომელსაც არ შესწევს ძალა განსახორციელებლათ—ფუჰია, სათამაშო მოსატყუებელი მოჩვენებაა. მაგალითად, რა მნიშვნელობა აქვს აირჩიო დებუტატი, რომელსაც თუმცა ლაპარაკის ნება აქვს, მარა არ შეუძლია რაიმე გავლენა იქონიოს ქვეყნის მათრვა გამგეობაზე? გაბატონებული უმცირესობა თავის უფლებას ხმარობს თავისთვის და არა შევიწროებულ უმრავლესობისათვის. გაბატონებულთა და შევიწროებულთა შორის ისე საძნელოა საერთო ინტერესები, როგორც პლანტატორთა და დამონავებულ ნეგრთა შორის. პლანტატორისათვის ნეგრების ინტერესები არ არსებობს. მისი მოქმედების ერთათ ერთი მიზანია თავისი ინტერესი და იგი ებჰობა ნეგრს ისე, როგორც უკარნახებს მას მისი პირადი ინტერესი. სწორედ ამ ნაირათ არის საქმე თანამედროვე სახელმწიფოშიაც. ყურადღებას აქცევენ ხალხის ინტერესებს კი არა, არამედ მხოლოდ გაბატონებულ უმცირესობის ინტერესებს. ბატონების თვისება მდგომარეობს იმაში, რომ დაჩაგრულთა ინტერესები დაუმორჩილონ გაბატონებულთა ინტერესებს, —აი რას ნიშნავს ბატონობა! მანამდე ვიდრე, არსებობენ გაბატონებულნი და დამორჩილებულნი, საქმის მდგომარეობა არ შეიცვლება, ვინაიდან ბატონობის თვისება ექსპლოატაციაა. აქედან ცხადია



რომ დაჩაგრული ხალხის ანტერესები თხოულადად  
სახელმწიფოს ძირითად გარდაქმნა-გარდაკეთებას  
ახალ პლანზე. სახელმწიფო აღარ უნდა იყოს მხო-  
ლოთ კერძო პირთა, წოდებათა და კლასთა ბუდე.  
იგი უნდა გარდიქმნას სრულ და სწორ უფლებიან  
მოქალაქეთა კავშირათ, სადაც ადგილი არ უნდა  
ჰქონდეს ერთის მეორეზე ბატონობას და ერთი  
მეორის დამორჩილებას.

აი რის მიღწევა უნდა სოციალდემოკრატიას.

ჩვენ გვსურს თანამედროვე კლასიური სახელმწიფო  
შევცვალოთ თავისუფალ სახალხო სახელმწიფოთ.  
ჩვენი პარტიის საღი და ნათელი აზრიდან ცხადათა  
ჩანს, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი ცილსა გვწამებენ,  
რომ ამტკიცებენ თითქო სოციალდემოკრატიას  
სურდეს სახელმწიფოში ბატონობის მუშათა კლასის  
ხელში გადაცემა, ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ბატონობის  
ცნება არ არის დემოკრატიული და მაშასადამე იგი  
ეწინააღმდეგება სოციალდემოკრატიის პრინციპებს.  
დემოკრატიის ყოველგვარი განმათავისუფლებელი  
მოთხოვნილებანი იმავე დროს ხდებიან სოციალ-  
დემოკრატიულ მოთხოვნილებათ. განსხვავება დე-  
მოკრატიასა და სოციალდემოკრატიას შორის არის  
ის, რომ უკანასკნელს გამოჰყავს ისეთი დასკვნები,  
რომელთა მხარის დაჭერის ძალღონე არ შესწევს  
ბურჟუაზიული ცრუ მორწმუნეობით შეპყრობილ  
დემოკრატიას. სოციალდემოკრატია არის ნამდვილი  
პროგრესიული დემოკრატია. იგი დამყარებულია  
კაცთ ნათესავთა შორის თანასწორობაზე, ფხვრის




ძირიანათ უთანასწორობის მიზეზებს, არ ჰგუობს ბატონებს და არც მონებს და მივყავართ თავისუფალ ადამიანთა ძმური ერთობისაკენ.

რომ ყველა ამის გაკეთება შესაძლებელი გახდეს, აუცილებლათ საჭიროა თანამედროვე წარმოების წესრიგის თავიდან აცილება, საზოგადოების ეკონომიური საფუძვლის შეცვლა, ე. ი. შრომის წესრიგის, საზოგადოებრივი წარმოების სისტემის შეცვლა.

ყოველგვარი საზოგადოებრივი სიმდიდრის და ყოველგვარი კულტურის დედა—შრომაა. ყველაფერს, რაცკი გვაქვს ჩვენ და ან რასაცკი ვაღწევთ, ჩვენ გვაქვს და ვაღწევთ შრომის მეოხებით. ყველაფერს უნდა ვუმადლოდეთ ჩვენ შრომას, მაგრამ ჩვენს კერძო პირად შრომას კი არა—იმას უნდა ვუმადლოდეთ სულ უმნიშვნლო რაღაცას—არამედ საყოველთაო საზოგადო შრომას. ადვილად შესაძლებელია—რასაც უკვე ჩვენ ვამჩნევთ არა იშვიათად—ვისარგებლოთ კულტურის მიერ მონიჭებულ კეთილ დღეობით ჩვენი პირადი შრომის მიუხედავათაც, მაგრამ თვით მომუშავეთა და მშრომელი ხალხისათვისაც კი, რაც უნდა იგი დაუცხრომლად შრომობდეს, ყოვლათ შეუძლებელია კულტურული ცხოვრება, თუ საზოგადოებრივი შრომით არ ისარგებლა, ვინაიდან მან, მხოლოდ მშრომელმა ხალხმა, შექმნა კულტურა, ურომლისოთაც ჩვენ ადამიანები კი არა, მხეცები ვიქნებოდით. აქედან თავის თავათ გამომდინარეობს შრომის კომუ-





ნისტური ბუნება, რომელიც მიისწრათის განსაზღვრავს, დღობისაკენ და რომელზედაც დამყარებულია სახელმწიფო და საზოგადოება. ასეთი კომუნისტური ხასიათი ჰქონდა შრომის ყოველთვის: შრომის ძველანდელი მონიას, საშვალ საუკუნოების ყმისას და თანამედროვე დაქირავებული მუშისას. ეს ასე იყო და არის, მაგრამ მიუხედავად ამისა შრომის ნაყოფს, ნაწარმოებს ასეთი ხასიათი არასოდეს არ ქონია და არც ახლა აქვს. ძველანდელი მონა შრომობდა თავის მფლობელისათვის, საშვალ საუკუნოების ყმა თავის ბატონისათვის და თანამედროვე დაქირავებული მუშა შრომობს კაპიტალისტის სასარგებლოთ. აი რაში მდგომარეობს უკუღმართობა, აი სად არის უსამართლობა, რომლის მოსპობაც შეადგენს სოციალდემოკრატიის მიზანს. შრომის ზოგად კომუნისტური ხასიათი უნდა განვაგრძოთ ნაწარმოებზედაც; შრომის საზოგადოებრიობას საყოველთაო სილატაკისკენ კი არ უნდა მივყავდეთ, არამედ ყველანი უნდა ვსარგებლობდეთ მისი მეოხებით მოპოებულ კეთილდღეობით.

ცხადია რაოდენათ სასაცილოა საყვედური თითქო ჩვენ გვინდოდეს საკუთრების მოსპობა. საკუთრებას მოსპობა კი არ უნდა, არამედ საჭიროა მისი ჩამორთმევა, რომელიც არის უსამართლობითა და სხვისი საკუთრების მითვისებით შექმნილი, როგორც საზოგადო ნაქურდალისა. ამას მარქსმა უწოდა „ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია“. საზოგადოთ იმ პირთ, რომელნიც ქრისტიანობას




აღიარებენ, უფლებას არა აქვთ ყვიროდენ „გაზიარების“ წინააღმდეგ, ვინაიდან ახალი აღთქმა უფრო უხამსათ და პირველყოფილი ფორმით ჰქადაგებს კომუნიზმს და პირვანდელი ქრისტიანული თემებიც აღიარებდენ „შეურეველ მოძღვრებას“, ძალიან წესიერად ასრულებდენ „გაზიარების“ წესს და ამბობენ, რომ მას ავრცელებდენ ქალებზედაცო \*). განვიხილოთ ახლანდელი საქმის მდგომარეობა. ვინ უარჰყოფს იმას, რომ ხალხის უდიდესი უმრავლესობა ცხოვრობს უსამწყუხაროვს პირობებში და მხოლოდ უმცირესობასა აქვს ადამიანური არსებობის სახსარი. ვისაც საეჭვოთ მიაჩნია ეს, მას მივუთითებთ სტატისტიკაზე, რომლის ციფრებსაც ხმის ამოუღებლათ უნდა დაემორჩილოს, თუ მას ან ცოდნა არ ჰქონდა და ან ბოროტი განზრახვა არ ახელმძღვანელებს.

მაგრამ ეკონომიური უთანასწორობა მაინცდამაინც კიდევ არ შეადგენს სივადებას და დიდს უბედურებას. შრომა ჰქმნის ყოველგვარ სიმდიდრეს და, ვინც არ შრომობს, ისინი რომ ყოფილიყვნენ ღარიბები, მაშინ ამისთანა უთანასწორობას კიდევ ექნებოდა რაღაც გასამართლებელი საბუთი, მაგრამ ნამდვილათ საქმე სულ წინააღმდეგ არის მოწყობილი. ბურჟუაზიული ეკონომისტის ჯონ სტიუარტ მილლის აზრით, რომელსაც ჩვენი მოწინააღმდეგენი ავტორიტეტათ სთვლიან — თანამედროვე საზოგადოე-

\*) ქალების „გაზიარება“ პრაქტიკულად ძალიან მიღებულია თანამედროვე „უმალღეს“ ქრისტიანურ საზოგადოებაშიც.



ბაში ქირნახულნი ნაწილდება საზოგადო შრომაში  
მონაწილეობის მიღებისდაგვართკიარა, არამედ წი-  
ნააღმდეგ. ვინც მეტსა შრომობს ის საშვალოთ იღებს  
ყველაზე ნაკლებს; ვინც მუშაობს ცოტას ან სულ  
არ მუშაობს და აშკარათ ან ფარულათ ამუშავენს  
თავისთვის სხვენს—იღებს ბევრს. სიღარიბე არსე-  
ბობს შრომისათვის და სიმდიდრე—უსაქმურობისა-  
თვის; მუშები, რომელნიც ჰქმნიან ეგრედ წოდებ-  
ულ საერო სიმდიდრეს, მოწყვეტილნი არიან მას.  
იგი შეადგენს არა მშრომელთა და უსაქმურთა  
მონაპოლიას. ამნაირათ უთანასწორობა გადაქცე-  
ულია უუსაზიზღრეს უსამართლობათ. ეს უსამართ-  
ლობა ხდება ჩვენი ცივილიზაციის სამარცხვინო  
დალათ და ვისაცკი უღვივის გულში სა-  
მართლიანობის გრძნობა, უნდა ცდილობდეს ამ და-  
ლის მოსპობას. პოლიტიკური ზომები, რომელნიც  
გზებიან გარეჯანს და მიმართულნი არიან მარტო-  
ოდენ სიმპტომების წინააღმდეგ, უფრო აღრმავებენ  
ბოროტებას; აუცილებლათ საჭიროა ბოროტების  
ძირიანათ აღმოფხვრა. ყოველგვარი სიმდიდრე არ-  
ის შრომის ნაყოფიო—გვასწავლის პოლიტიკური  
ეკონომია; შრომამ უნდა მოიმკოს შრომის ნაყო-  
ფიო—მოითხოვს სამართლიანობა, მოითხოვს სო-  
ციალდემოკრატია. თანამედროვე უსამართლობა  
მომდინარეობს იქიდან, რომ შრომა არ მუშაობს  
თავისთვის, რომ იგი ჰყიდის თავისთვის ქირაზე  
უსაქმურობას და ამ უკანასკნელს უვარდება ხელში  
გასაყვლეფათ, ერთი სიტყვით—იგი მომდინარეობს



საქირაო შრომის წესებიდან. თანამედროვე უსამართლობას ავიცილებთ მხოლოდ მით, თუ შრომა დაანებებს თავს უსაქმურობისათვის მუშაობას დამის მაგიერ იმუშავეს თავისთვის.

მარა უნდა შევნიშნოთ, რომ კერძო შრომა უნაყოფოა; შრომა, როგორც ჩვენ ვნახეთ, არსებითად უნდა იყოს საზოგადო. მაშასადამე, საზოგადო შრომა—ყოველი თითოეული ადამიანისათვის და საყოველთაო შრომა და საერთო სარგებლობა—ყველასათვის შრომის ნაყოფით. აი რითი გვინდა შევცვალოთ ჩვენ ახლანდელი გაყვლეფის წესები: სოციალისტური ასოციაცია დაქირავებული შრომის მაგიერ. „მარა რა ეშველება კაპიტალსო“, გვკითხავენ ჩვენ. ის დარჩება იქ, სადაც მას ადგილი აქვს. ადგილი კი მას აქვს შრომასთან. კაპიტალი არსებობს მხოლოდ შრომის მეოხებით და ამიტომ იგი უნდა არსებობდეს მხოლოდ შრომისათვის. მართალია გაიძვერა პირები ამტკიცებდენ, რომ კაპიტალი ჰქმნის ღირებულებას ისე, როგორც შრომაო, მარა ამის შემოწმება ადვილია; აბა კაპიტალის თაყვანის მცემლებმა შეუყარონ თავი მთელ თავიანთ კაპიტალს, თუნდა მთელი ქვეყნის კაპიტალს და დაყარონ ერთ ადგილს. ერთი წლის განმავლობაში არამც თუ მოემატება თუნდა ერთი კაპეიკის ღირებულება, არამედ შესამჩნევადაც დაეცემა მთელი შეგროვილი ჯამის ღირებულება. კაპიტალი არამც თუ დვიძლი შეილია შრომისა, არამედ მას არ შეუძლია ზრდა და არსებობა

საქართველოს  
მუზეუმი



უშრომოდ. კაპიტალს არავითარი უფლება არა აქვს შრომასთან, შრომას კი აქვს საკუთრების უფლება კაპიტალთან. გამეფებულმა წარმოების წესრიგმა პირუკულმა გადაატრიალა ბუნებრივი დამოკიდებულება შრომასა და კაპიტალს შორის და შრომა გახდა კაპიტალის მონათ. ან იქნება ჩვენი საქირაო შრომა არ არის მონობა? განა თანამედროვე დაქირავებული მუშა უფრო თავისუფალია ძველანდელ მონაზე მხოლოდ იმიტომ, რომ მას შეუძლია აღების გამოცვლა? განა შიმშილი არ სჯაქვავს მას უარესად, უფრო მაგრათ და უმოწყალოთ, ვიდრე თვით უმაგრესი ბორკილები? — „ყოველ შემთხვევაშიო“, ხშირათ გვიბასუხებენ ჩვენ — „მუშათა მდგომარეობა ახლა უკეთესია, ვინემ წინანდელ დროებშიო“. ჩვენ ნუ ვილაპარაკებთ თუ რაოდენათ სამართლიანია ამის მტკიცება; თუნდა სამართლიანიც იყოს, იგი მაინც არაფერს არ ამტკიცებს. გაუმჯობესობას კი არა, თანასწორობას მოითხოვს მუშა სოციალდემოკრატი. მას არ უნდა კიდევ იშრომოს სხვისთვის: მას უნდა, რომ ყველა თანასწორათ სარგებლობდეს შრომის ნაყოფით და კულტურის სიკეთით. მას საკმარისი ლოდიკა და სამართლიანობის გრძნობა მოეპოვება იმისათვის, რომ არ მოითხოვოს თავისი პირადი უპირატესი მდგომარეობა, მარა მას არ სურს იმყოფებოდეს ჩაგრულის მდგომარეობაში.

თანამედროვე წესრიგის აწინდელი არსებობა ხელს უშლის საზოგადოების შემდეგ არღ

სებობას. მსხვილი კაპიტალისტური წარმოება იყო პროგრესის საქმე, მაგრამ იგი შეიქმნა შემაფერხებელი. იგი აღარ აყმაყოფილებს აწი ეკონომიურ მოთხოვნილებებს საზოგადოებისას, ე. ი. ამ უკანასკნელის ყველა წევრებისას და არა უპირატეს პირობებში მყოფ ერთი მუჭა უმცირესობისას, რომელიც დიდის ხალისით უწოდებენ თავიანთ თავს „საზოგადოებას“; შრომის ნაწარმოების უსამართლო განაწილების მიუხედავათაც კაპიტალისტურ წარმოებას არ შეუძლია უზრუნველ ჰყოს საზოგადოების ყველა წევრები ყოველგვარი საჭიროებისაგან ადამიანური არსებობისათვის, და ამიტომაც იგი უნდა შეიცვალოს წარმოების უმაღლეს ფორმათ, რომელიც დააკმაყოფილებს ასეთ მოთხოვნებს. და მხოლოდ საყოველთაო საზოგადო წარმოებას, შრომის სოციალისტურ ორგანიზაციას, რომელიც შეგროვილ შებოჭვილ საზოგადო კაპიტალს გამოიყენებს საზოგადოების სასარგებლოთ, ძალუძს აღმოთხვრას ბოროტება.

ჩვენ გვაბრალებენ თითქო ჩვენ გვანდოდეს ყოველივე არსებულის დანგრევა და განადგურება, რათა ნანგრევებზე ავაგოთ ფანტასტიური ახალი შენობა. ეს—შეცდომაა, რაც დამყარებულია საზოგადოების უპირატეს პირობებში მყოფ გაბატონებულ კლასებში არევაზე. ჩვენ გვინდა მხოლოდ მოვიშოროთ ის, რაც ხელს უშლის საზოგადოების შემდეგ საღსა და გონივრულ განვითარებას და წინმსვლელობას, მივალწიოთ იმას, რომ უმრავლეს-



სობის ინტერესები მეტათ აღარ ეწირებოდეს მსხვერპლათ უმცირესობას და რომ კერძო პირთა უპირატესობის მაგიერ, პოლიტიკურ სოციალური მონოპოლიის მაგიერ, მთელი ხალხის, ყოველი ადამიანის უფლებანი და ინტერესები და სამართლიანობა გახდენ უმაღლეს კანონათ სახელმწიფოსა და საზოგადოებაში. წყობილებას, რომელმაც მოჰამა თავისი დრო და მეტათ აღარ აკმაყოფილებს საზოგადოების ახალ-ახალ კულტურულ მოთხოვნილებებს, უნდა შეეკვეცოს ფრთები, რომ არ ართმევედეს ჰაერს და მზეს ახლათ აღორძინებულ ცხოვრებას. ჩვენ ვგვსურს ჩვენი კულტურის ორგანიული განვითარება, რომელსაც აფერხებს თანამედროვე კლასიურ ბატონობა. იმას, ვინც ჩვენს დროში მოინდომებდ მანქანების განადგურებას და საშვალ საუკუნოების წვრილი წარმოების შემოღებას, ჩასთვლიდენ ჰკუ შერყეულათ და გიჟს დაუძახებდენ, ვინაიდან ყველამ იცის, რომ წვრილ წარმოებას მოჰყვა მსხვილი, წარმოების უფრო შემოსავლიანი წესი—მსხვილი მრეწველობა. მარა იმასაც, ვინც საშვალ საუკუნოებში და თითქმის მეთვრამეტე საუკუნის ნახევარშიაც იტყოდა, რომ წვრილი წარმოება ძვირად გვიჯდება და მცირე შემოსავლიანია, რომ სა მრეწველო რევოლიუციამ უნდა აღგაოს დედა მწის პირიდან წვრილი წარმოება და შემოიღოს ახალი წესიო,—ასეთ კაცს შეხედავდენ ისეთივე განცვიფრებით, როგორც გვიყურებენ ახლა ჩვენ თანამედროვე წესიერების, უფრო კი ნამდვილად



უწესოების ფანატიკოსები. იგი, ვინც 50 წლის შემდეგ გაბედავს თანამედროვე მდგომარეობის აღდგენაზე სურვილის გამოთქმას, უნდა გაფრთხილდეს, რომ საგიჟეთში არ ამოაყოფინონ თავი. და ჩვენ, რომელნიც ვიღწვით ამ მდგომარეობის რეფორმების მოსახდენათ, ცილსა გვწამებენ და გვდევნიან. თანამედროვე წარმოების წესის მოსპობა და უმაღლესის დამყარება კი ისე უეჭველია და აუცილებელი, როგორც უეჭველი და აუცილებელი იყო საშვალ საუკუნოების საწარმოო წესის ახლანდელით შეცვლა. ჩვენ კი არა ვართ უტოპისტები და უბრაქტიკო მეოცნებენი, როგორც დიდის ხალისით გვიწოდებენ, უტოპისტებია ისინი, ვისაც სამუდამო ჰგონია გარდამავალი ფორმები და სჯერა მათი დაღუპვისაგან ხსნა სხვა და სხვა ნაძალადევი მკაცრი ზომებით. ჩვენ არ გამოგვაქვს რალაც განსაკუთრებული პრინციპები, რომლებზედაც გვინდოდეს ჩვენი მოძრაობის დამყარება. ჩვენი თეორეტიული დებულებანი არავითარ შემთხვევაში არ არიან დამყარებულნი ამა თუ იმ კაცობრიობის მხსნელის გამოგონილ „იდეებზე და პრინციპებზე“, იგინი არიან მარტოოდენ ჩვენ თვალთა წინაშე მომხდარ ფაქტიურ დამოკიდებულებათა, არსებულ კლასობრივი ბრძოლის და ისტორიულ მსვლელობის საზოგადო გამოხატულებანი.

ამ განმარტების შემდეგ, ჩვენი პროგრამის პირველი ნახევარი (პუნქტი I და II) აშკარა იქნება ყველასათვის. იმ საბუთების სიმართლე, რომ მუშათა კლასის ეკონომიური დამოკიდებულება კაპი-



ტალთან ხდება ყოველგვარი ფორმის (განსაკუთრებით პოლიტიკურათ დაჩაგვრის) სილატაკისა და მონობის მიზეზათ შეიძლება დავამტკიცოთ უბრალო მაგალითითაც. წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე ხალხს მიანიჭეს სრული პოლიტიკური თავისუფლება: საყოველთაო, პირდაპირი საარჩევნო უფლება, თავისუფლება ბექდვის, სიტყვის, კრების და სხვა. მარა კაპიტალისტური წარმოების და საქირაო შრომის წესი დაცულია. — რას მივალწვედით ჩვენ ამით. უთანასწორობას. მასის სილატაკე და რამდენიმე პირის შეუსაბამო სიმდიდრე ხელუხლებელი დარჩებიან, ხალხის მშრომელი უმრავლესობა ვერ დაადგენს თავს შეძლებულ უმცირესობის ეკონომიურ დამოუკიდებლობას, და ეს ეკონომიური დამოკიდებულება მთელ პოლიტიკურ თავისუფლებას გადააქცევს წმინდა ილლიუზიათ, ოცნებათ, წაართმევს მას ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას. განა საკმარისათ არ გამოვცადეთ ჩვენ ეს რეისტაგის არჩევნებში, რომ ძალდატანება, რომელსაც იჩენს კაპიტალისტი თავის დაქირავებულ მონებზე, უფრო ძლიერია თვით ურეაქციონერეს სახელმწიფოზე!

ავიღოთ თუნდა წინააღმდეგი შემთხვევა: ხალხს მოუსპეს პოლიტიკური თავისუფლება, მაგრამ შრომა კი გაანთავისუფლეს და ჩვენი მოთხოვნების თანახმათ თითოეულ მუშას მიანიჭეს მისი შრომის ნაწარმოები, რამდენათაც ამის ნებას იძლედა მთელი საზოგადოების ინტერესები, სოციალისტური



(სამხანაგო) წარმოების და შრომის ნაწარმოებთა სოციალისტურ განაწილების მიხედვით; — რას მივახსევდით ამით? გაბატონებული უმცირესობა დაჰკარგავდა თავის გავლენას, რომელიც მარხია მხოლოდ თანამედროვე წარმოების წესრიგში, კაპიტალის მიერ შრომის ყვლეფაში და ეკონომიური დამოუკიდებლობა ძალიან ჩქარა მისცემდა ხალხის უმრავლესობას საშვალებას პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოებისასაც. მართალია ეს უკანასკნელი მაგალითი, ისევე შეუძლებელია, როგორც პირველი; ვინაიდან სოციალური საკითხი განუყოფელია პოლიტიკურიდან: გონივრულათ მოწყობილი საზოგადოება შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალ სახელმწიფოში. სოციალდემოკრატიას სურს, რომ გაუქმდეს მუდმივი ჯარი — ეს დამონაფებისა და დაპყრობის იარაღი და სანამ კიდევ შესაძლებელია ომები, შეიცვალოს იგი სახალხო ჯარებით — მილიციით. ყოველი მოქალაქე ბავშობიდანვე უნდა ვარჯიშობდეს იარაღის ხმარებაში, რომ კარგათ შეისწავლოს სამხედრო საქმე; როდესაც ყოველი მოქალაქე — სალდათია, მაშინ ყოველი სალდათი მოქალაქეა.

ახლანდელ დროში სწავლა-განათლება შეადგენს რამდენიმე პირის პრივილეგიას და ამ მცირე პირთა აღზრდაც მოკლებულია ჰუმანურ და კეთილშობლიურ მხარეებს, ამის ნაცვლათ მათ უნერგავენ გულში კლასობრივი ბატონობის პრინციპებს. მცხოვრებთა უმრავლესობა თუშცა ეწაფება უმნიშვნელო და დამახინჯებულ სწავლა-ცოდნას, მაგრამ მისი-

ქის განვითარებას განგებ უღობავენ გზას ათასგვარი დაბრკოლებით. ეს იმიტომ რომ განათლებულ ხალხს, აღზრდილს, გაჟღენთილს ჭეშმარიტი კაცობრიული იდეებით, არ შეუძლია აიტანოს სულის შემსუთველი პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა, ვინაიდან განათლება—ჭეშმარიტი და ნამდვილი განათლება—და არა სულის სისტემატიური დამახინჯება, რასაც ჩვენს დროში სწავლა-განათლებას ეძახიან—დედაა თავისუფლების, სამართლიანობის და თანასწორობის და ამიტომ ვერ შეეთვისება თანამედროვე კლასობრივი ბატონობის არსებობას. სოციალდემოკრატიის მისწრაფებაა რაც შეიძლება მეტი, ფართო და საღი სწავლა განათლება თვითოეულისა და ყველასთვის: თანასწორი, საყოველთაო, უსასყიდლო სწავლა კარგათ მოწყობილ სახალხო სკოლებში (რეალურ, პროფესიონალურ სასწავლებლებში, გიმნაზიებსა, აკადემიებსა და უნივერსიტეტებში). სოციალდემოკრატიის შეხედულებით სახელმწიფოს მოვალეობაა—მოქალაქეთა სულიერ და ფიზიკურ კეთილდღეობაზე ზრუნვა; ამიტომ სოციალდემოკრატიული სახელმწიფო უპირველესათ ყოველისა არის—საზოგადო სახალხო სკოლა.

ახლანდელ დროში სასაცილოა, რომ იუსტიციას ეს სახელი ჰქვია. იუსტიცია პირდაპირ ნიშნავს სამართლიანობას, მაგრამ როგორ შეიძლება სამართლიანობაზე ლაპარაკი იმ წესებთან, რომელნიც თავისი თვისებებით საზოგადოთ და კერძოთ, არსებითად არღვევენ სამართლიანობის ყოველგვარ

ელემენტარულ მოთხოვნილებას ყოველგან და ყოველთვის? მხოლოდ გაიძვერებს ან უგუნურებს შეუძლიათ დანაშაულობათ ჩაუთვალონ კერძო პირს ის, რაც გამომდინარეობს სახელმწიფოსა და საზოგადოების ზნე ხასიათიდან, ან და რაც სახელმწიფოს ნაკლებეანებათა (სწავლაგანათლების სიმცირე) და დამახინჯებულ უკუღმართ საზოგადო წყობილების (სილატაკე) აუცილებელნი შედეგნი არიან. უსამართლობა, რომელიც მარხია ჩვენი დროის სახელმწიფოსა და საზოგადოებაში და საფუძველათ უძევს მათ, თვით იუსტიციასაც უსამართლობათ ჰქმნის დასაწყისშივე. უნდა გაგრძელდეს ასეთი წესი? სოციალდემოკრატიას სურს, რომ იუსტიცია იყოს სამართლიანობა; და მხოლოდ თავისუფალ სახალხო სახელმწიფოში, — რომლის განხორციელებასაც ცდილობს იგი — იქნება აუცილებელი პირობები მართლმსაჯულებიანათვის. სახელმწიფოსა და საზოგადოების გონივრულათ და ნორმალურათ მოწყობა მოწესრიგება აღმოფხვრის ძირიანათ ვგრეთ წოდებულ დანაშაულობას, რაც ნამდვილათ ფიზიკური ან საზოგადოებრივი სენის პირდაპირი შედეგია; ძირიანათმეთქი, ვამბობთ იმიტომ, რომ იგი მოსპობს დანაშაულობის მიზეზებს. მაგრამ სანამ ასეთი წესები გამეფდებოდეს, სოციალდემოკრატია მოითხოვს, რომ შემოდებულ იქმნას სახალხო სასამართლოები (ნაფიცი და სამედიატორო სასამართლოები, სადაც ეს შესაძლებელია) და უსასყიდლოდ სამართლის წარმოება. სახალხო სასამართლო, რომლის შემოდებასაც



ვცდილობთ ჩვენ, განირჩევა ეხლანდელ სამსჯავროსაგან ისე, როგორც თანამედროვე სახელმწიფო მომავალ სახალხო სახელმწიფოსაგან. ნაფიცთა სამსჯავრო უნდა იყოს შეძლებულ კლასთა მონოპოლია კი არა და არც კლასობრივი იუსტიციის და მართლმსაჯულების სამარცხვინო ფარსის შემასრულებელი იარაღი, რის მეოხებითაც შეძლებული კლასის წარმომადგენელი მალავს რა თავის კლასობრივ სიმკუთვარეს და კლასობრივ ინტერესებს, კანონის ცილებ ქვეშ, ასამართლებს გაძარცვული და ტანჯული ხალხის წარმომადგენლებს, — არა! ნაფიცი მსაჯულები უნდა გამოდიოდნ ხალხის საშოდან, თავისუფალ საყოველთაო პირდაპირ არჩევნების საშუალებით, თუ გვინდა რომ ნაფიცთა სამსჯავრო იყოს ნამდვილი სახალხო სასამართლო.

თემში, რომელიც თითქმის სახელმწიფოს წარმოადგენს სახელმწიფოში, უფრო აშკარა და თვალსაჩინო ხდება ის უსამართლობა, რომ ერთი მუქი გაბატონებული უმცირესობის ინტერესებს უმორჩილებენ დაჩაგრულ უმრავლესობას, ვიდრე სახელმწიფოში. ეს იმიტომ, რომ აქ მჩაგვრელნი და ჩაგრულნი უფრო დაახლოვებულნი არიან ერთმანეთთან ფეუზიკურათ და ამასთანავე უშვამავლოთ პირდაპირ პირადათ ხვდებიან ერთიმეორეს. გაბატონებული უმცირესობა თავის შეხედულებებისამებრ აწერს და ახდევინებს ხარჯებს დაჩაგრულ უმრავლესობას, აკისრებს მას ხარკების მთელ სიმძიმეს და ამ შემო-

სავალს ხარჯავს თავის საკუთარ საქიროებისათვის, და „საზიზღარ ხარკის“ მხდელ ხალხს“ კი უგდებს ნამცეცებს თავის სავსე სუფრიდან. ამასთანავე მდიდრები მუშების სისხლით აგებენ თავიანთი შვილებისათვის სასწავლებლებს, სადაც მუშათა შვილებს ფეხსაც არ აკარებინებენ. აშენებენ თავიანთ კერძო სიამოვნებისათვის თეატრებს, სადაც მუშებს გზას უღობავენ შესავლელი ფასების გაძვირებით. მართალია მუშებისათვის მაინც და მაინც ეს დიდს უბედურებას არ შეადგენს ჩვენს დროში, რადგან ახლანდელი თეატრი მცირე გამოწევათა გარდა აკმაყოფილებს მხოლოდ მდიდრების გახარწილ გემოვნებას, რადგან გაბატონებულმა კლასებმა იგი გადააქციეს უგააზიზებულეს გარყვნილებების სახლათ. მოკლეთ რომ ვთქვათ, გაბატონებული უმცირესობა ხელმძღვანელობს თემში იმავე ეგოისტური, საზოგადოებისთვის მავნე პრინციპებით, როგორც სახელმწიფოში. ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ აუცილებლათ საქიროა ღონისძიების მიღება. ამიტომ სოციალდემოკრატია მოითხოვს, როგორც სახელმწიფოსათვის ისე თემისათვის საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრის უფლებას; სრულს გათანასწორებას უფლებასა და მდგომარეობაში როგორც მოქალაქისას, ისე თემის ყველა წევრებისას.

მარა სახელმწიფო და თემი, რომ გარდაემქნათ იმათ, რათაც უნდა იყვნენ ისინი ე. ი. თავისუფალ და სწორ უფლებიან ადამიანთა კავშირათ, სადაც



ქართული ენის ინსტიტუტი

ყველანი ძმურის თანხმობით და ერთანეთის დასაცემად რგბით იღწვიან თითოეული ყველასათვის და ყველა თითოეულისათვის, რომ მიაღწიონ, რაც შეიძლება უმაღლეს სულიერ და ფიზიკურ კეთილდღეობას, საქიროა შევცვალოთ თანამედროვე საზოგადოების ეკონომიური საფუძველი, ვინაიდან ამაზე არიან დამყარებულნი ჩვენი დროის სახელმწიფო და თანამედროვე საზოგადოება, რომელთა ნაკლებეანება და მოუწყობლობა ხდებიან მხოლოდ საზოგადოებრივ და ოჯახებრივ უწყსრიგობისა და მოუწყობლობის აუცილებელ შედეგათ.

რა სურათს წარმოადგენს ახლანდელი საზოგადოება?

კაპიტალისტური წარმოების მეოხებით, ომიამართული მწარმოებელთა და მუშათა შორის, კონკურენციის გამოისობით ომს უცხადებენ ერთმანეთს ბურჟუა ბურჟუას და მუშა მუშას. სოციალდემოკრატიას უნდა ბოლო მოუდოს ამ დაუსრულებელ და დაუბოლოებულ ომს,—ამ ყველაის ომს ყველას წინააღმდეგ; მას სურს მშვიდობა და სათნოება კაცთა შორის, მშვიდობა ერთაშორის და მშვიდობა კლასთა შორის, მარა ამის იმედი არ არის და არც იქნება მანამ, სანამ არსებობს თვით ომის გამომწვევი მიზეზი. მიზეზი კი არის—თანამედროვე კლასობრივი ბატონობა მისი საქიროა მონობით, მისი საბირჟო ხრიკოსნობით და გაიძვერობით, მისი მატყუერობით და ცბიერობით კომერციის ყოველგვარ დარგებში, მისი არსებობის ყველა ფიზიკურ და ზნეობრივ საშვალებათა ფალსიფიკაციით და

სიყალბით, მისი გაფიცვებითა და ლოკაუტებით \*).

მაშასადამე თუ გვინდა სახელმწიფოსა და საზოგადოებაში გამეფდეს მშვიდობიანობა, წესიერება, თავისუფლება და სამართლიანობა, აუცილებლათ საჭიროა დაემზოს საჭიროა შრომის სისტემა, საჭიროა შრომისა და უმცირესობის მიერ საწარმოო იარაღების (მანქანები, ხელსაწყო იარაღები, მიწა, მადნები, რკინის გზები და სხვ...) მონოპოლიზაციის წესების მეოხებით; შრომას, რომელიცა ჰქმნის ყოველგვარ საზოგადოებრივ სიმდიდრესა და ღირებულებას, მისჯილი აქვს სიღატაკე და მონობა. დამჭირავებელი მდიდრდება მის მიერ დაჭირავებულ მუშათა შრომით, რომელთაც იგი აძლევს მხოლოდ მათი შრომის ერთ ნაწილს სამუშაო ქირის სახით და დანარჩენს კი იყრის თავის ჯიბეში, როგორც — „მოსაგებელს“, ნაცარცვს, წანაგლეჯს, რომელიც მხოლოდ იმით განსხვავდება ჩვეულებრივ ნაცარცვიდან, რომ ამისთვის არ სჯიან მას ჩვენი დროის კლასობრივი კანონები. განა დამჭირავებელი, რომელიც ართმევს „თავის“ მუშებს მათი შრომის ნაყოფის ნაწილს და ჰყლაპავს მას განსხვავდება რამეთი „გულკეთილ“ ავაზაკისაგან, რომელიც კმაყოფილდება თავისი დამბაჩის საშვალეებით დიდ ქუჩაზე მგზავრისაგან წანაგლეჯ ქონების ერთი ნაწილით? და წარმოიდგინეთ კანონის წინაშე იგი მაინც ავაზაკათ ითვლება!

\*) ლოკაუტი ნიშნავს აღებისაგან სამუშაოს აღკვეთას მუშათა საწინააღმდეგოთ.





ახლანდელ საწარმოო წეს რიგს, რომელიც დამყარებულია საქირაო შრომის წესზე, თან სდევს ორ გვარი შედეგი: ერთის მხრით საკუთრება გროვდება მცირე პირთა ხელში, რის მეოხებითაც წარმოსდგება მათი განებივრება, გარყვნილება და გათახსირება; მეორეს მხრივ ხალხის უმრავლესობის, მასის გაღატაკება, პაუპერიზმი. მუშას არ შეუძლია დაიკმაყოფილოს სულ უბრალო მოთხოვნილებანიც კი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჰქმნის სიმდიდრეს. უსახსრობა, ცივი და ნოტიო, ჯანმრთელობისათვის მავნებელი ფაბრიკები და სახელოსნოები ართმევენ მას სასიცოცხლე ძალ-ღონეს ისე, როგორც დამქირავებელი სტააციებს მას შრომის ნაყოფს; მას ელის უდროოთ სიჭაბუკის გამოსალმება, ნაადრევი ჩამოღრობა-ჩამოჭკნობა, დავაადება და მოსწრაფებული სიკვდილი; მან არ იცის თუ რა არის ოჯახური ცხოვრება და სიხარული, რადგან იმისი ცოლშვილიც ფაბრიკას უნდა მიაწყდეს, ვინაიდან მას არ ჰყოფნის მარტო თავისი ნაშოვარი საცხოვრებლათ; მის ქორფა მოზარდს ქალიშვილებს წინ უდევს ორი გზა: ან უნდა აირჩიონ მოკლე და ბრწყინვალე ასპარეზი გარყვნილების—პროსტიტუციის—ან და ხანგრძლივი, უფერული, მზის სინათლესა და სითბოს მოკლებული პროლეტარი მუშა ქალის ხვედრი.

ყველა, ვინცა ჰგმინავს ამ არა ადამიანურ პირობების უღელქვეშ ჩვენთან ერთად დასძახებს, „ძირს საქირაო შრომის წესებიო!“

ძირს საქირაო შრომის წესები!—აი სოციალ-დემოკრატიის ძირითადი მოთხოვნა—აი ჩვენი აგიტაციის თავი და ბოლო. საქირაო შრომის წესები და კლასობრივი ბატონობის ადგილი უნდა დაიქროს საამხანაგო შრომამ, ასოციაციამ, (კოოპერატიულმა წარმოებამ), შრომის იარაღები არ უნდა შეადგენდენ ერთი კლასის მონოპოლიას, ისინი უნდა გადაიქმნან მთელი ხალხის საზოგადო საკუთრებათ. არ უნდა იყონ არც მყვლეფელნი და არც გაყვლეფილნი. საქირაო საზოგადო საერთო ინტერესების მიხედვით წარმოების და ნაწარმოების მოწესრიგება და გაუქმება, როგორც ახლანდელი წარმოების, რომელიც შეიცავს ყველფასა და ცარცვა გლეჯას, აგრეთვე ახლანდელი ვაჭრობისაც, რაც დამყარებულია სიცრუესა და მოტყუებაზე.

მუშებმა თავიანთი სამუშაოები, რომელნიც კი ესაქიროება საზოგადოებას, უნდა აწარმოონ თანასწორობის საფუძველზე. დამქირავებელთა და ხან ქედ მოხრილი და ხან აჯანყებულ მონათა მაგიერ უნდა იყვნენ მხოლოდ თავისუფალი ამხანაგები. შრომა არავისთვის არ უნდა იყოს ტანჯვა წამება, არამედ იგი უნდა შეადგენდეს ყოველი ადამიანის ზნეობრივ მოვალეობას. ყველას, ვინც ასრულებს თავის მოვალეობას საზოგადოების წინაშე, უფლება აქვს ადამიანური ცხოვრების. სიმშვილის სახელით შრომას კი არ უნდა სწყევლიდენ და ჰკრულავდენ, არამედ იმით უნდა სჯიდენ უსაქმურობას.

და იმისთვის, რომ ყველა ეს განხორციელდეს.



საჭიროა სახალხო სახელმწიფო — სახელმწიფო ყველასი ყველასათვის, სახელმწიფო, რომელიც უნდა წარმოადგენდეს გონივრულათ და სამართლიანათ მოწესრიგებულ საზოგადოებას, დაწესებულებას ყველა თავის წევრების ბედნიერებისა და განათლების უზრუნველ საყოფელად, საჭიროა ძმური კავშირი თავისუფალ და სწორ უფლებიან ადამიანებისა.

რაცა ვთქვით ამის შემდეგ მეტათ მიგვაჩნია იმ მოთხოვნილებათა ახსნა განმარტება, რომელნიც გამოთქმულნი არიან პროგრამის მეორე ნაწილში, ისინი თავისთავადაც ცხადია ყველასათვის ვისაც კი ცოტა მაინც მიუღია რაიმე განათლება და მოპოება აზრი და ჭკუა. როგორც ყველა ის პარტიები და კლასები, რომელნიც კი ოდესმე აღმდგარან გამეფებულ უწესრიგობის და უსამართლობის წინააღმდეგ და დაუსახავთ თავიანთ მიზნათ მათი თავიდან მოცილება, ისე სოციალ დემოკრატიაც ვერ ასცდა დაცინვასა და ცილის წამებას უსამართლო სახელმწიფოსა და უსამართლო საზოგადოების ანგარ და დაბრმავებულ მომხრეთაგან. ისინი ამბობენ, რომ სოციალდემოკრატის მისწრაფებაა ამბოხება, კლასობრივი ბრძოლა, საკუთრების განადგურება, ოჯახის დანგრევა, განათლების მოსპობა, მხეცური გრძნობების გამეფება და დედაკაცის ღირსების უღრმესათ დამცირებაო. ჭეშმარიტების ამაზე უფრო უტიფრად და უხამსად დამახინჯება შეუძლებელია, ძველი თაობა, ძველი საზოგადოება ბრალსა გვდებს

ჩვენ თავის ცოდვებში, რომელთათვისაც ჩვენ თონ დავჰგმეთ ისინი.

უწესრიგობა და ამბოხება ახლათ გამეფებული — სოციალდემოკრატიას სურს წესიერება და მშვიდობიანობა. სოციალდემოკრატიას ყველასათვის სურს თავისუფლება და საკუთრება. მას უნდა ყველასათვის გახადოს საკუთრება სინამდვილეთ, უზრუნველ ჰყოს მუშისათვის მისი შრომის ნაყოფი საზოგადოების ფარგალში.

ჩვენ არ დავსდევთ ციციანათელას და არ ვებღაუჭებით უტოპიას, არამედ ვხელმძღვანელობთ რა ცხოვრების რეალური პირობებით, და ვემყარებით რა კულტურის მეოხებით მოპოებულ საშვალეებზე, ვსცდილობთ მოვსპოთ კლასობრივი კანონმდებლობა და კლასობრივი ბატონობა.

ჩვენი მიზანია: თავისუფალი სახალხო სახელმწიფო, სადაც უნდა მეფობდეს ეკონომიური და პოლიტიკური თანასწორობა; თავისუფალი საზოგადოება, სადაც უნდა სუფევდეს საამხანაგო შრომა. საყოველთაო კეთილდღეობა—აი ჩვენი ერთადერთი სახელმწიფო და საზოგადო მიზანი.

რომ ჩვენს მიზანს მივახწიოთ საჭიროა გვექმნოდეს მწყობრი ორგანიზაცია. თუ მტკიცე ორგანიზაცია არ გვექნა, არც ჩვენი პროპაგანდა გასჭრის და არც ჩვენი მოქმედება იქნება ნაყოფიერი. მტკიცე ორგანიზაცია არის ძალთა გაერთიანება, მისი მიმართვა ცენტრალურ წერტილისაკენ. დაქუცმაცება აკლებს ძალას თითოეულს კერძოთ; დაქუცმა-



ცებული ძალები არ წარმოადგენენ არაფერსა  
ლას. ერთობა არამც თუ აწყობს და ამტკიცებს ძა-  
ლებს, არამედ იმავე დროს აძლიერებს ძალებს.

მაგრამ ამასთან ეკონომიური და მაშასადამე  
იმავე დროს პოლიტიკური მდგომარეობაც არსები-  
თათ ერთგვარია ყველა კულტურულ ქვეყნებში.  
ახლანდელ დროში არც ერთი სახელმწიფო არ არის  
ერთმანეთისაგან დაშორებული ჩინური კედლებით.  
მიუხედავად ხელოვნურათ შექმნილ დაბრკოლებისა,  
ყველა კულტურულმა ქვეყნებმა უნდა განიცადონ და  
გაიგონ საერთო კულტურა და საზოგადო ისტორი-  
ა. თითოეულ ქვეყანას აქვს გავლენა მეზობელ  
ქვეყნებზე და აგრეთვე თავის მხრივ იმყოფება მათ  
გავლენის ქვეშ; ამიტომ ჩვენს დროში ყველა პარტი-  
ები ცოტათ თუ ბევრათ საერთაშორისონია. ჩვენი  
პარტიაც, რასაკვირველია, მით უმეტეს საერთაშორისო  
რისია, ვიდრე ყველა სხვა პარტიები, ვინაიდან მა-  
არ იცის ეროვნული საზღვრები. იგი სდგას რა-  
წმინდა ადამიანური თვალთახედვის წერტილზე და  
ზომავს რა ყველაფერს საკაცობრიო მაშტაბით  
სხვა და სხვა ამა თუ იმ ერის წარმომადგენლებს  
ხედავს და სცნობს მხოლოდ მართაოდენ ადამი-  
ნებს, მოქალაქეებს. თუმცა მართალია იმ სახელმწი-  
ფოში, რომლის მოქალაქენიცა ვართ ჩვენ, ვპო-  
ლობთ ჩვენი მოქმედების უფრო მახლობელ და ნ-  
ყოფიერ ასპარეზს, მარა იმავე დროს ჩვენ არ ვ-  
ვიწყებთ მსოფლიო მოქალაქეობას და კაცთაშორის  
საყოველთაო ძმობა-ერთობას. და ჩვენ ვიცით როდ-

იქ, სადაც იბრძვიან მუშის საქმისათვის და დაჩაგრულ  
ლი ხალხისათვის, იქ იბრძვიან ჩვენი საქმისათვისაც.

აი ჩვენი პროგრამა:

ჩვენ გვსურს სამართლიანობა და ვებრძვით უსა-  
მართლობას.

ჩვენ გვსურს თავისუფალი შრომა და ვებრძვით  
საჭიროა მონობას.

ჩვენ გვსურს საყოველთაო კეთილდღეობა და  
ვებრძვით სიღატაკეს.

ჩვენ გვსურს საყოველთაო განათლება და ვებრ-  
ძვით უმეცრებას.

ჩვენ გვსურს სახალხო სახელმწიფო და ვებრ-  
ძვით კლასობრივ სახელმწიფოს.

## II

ერტრუტის პორტეიტაგმა 20 ოქტ. 1891 წ.  
მიიღო პარტიის პროგრამა შემდეგი ფორმით, რო-  
მელშიაც გამოთქმულია ჩვენი პრინციპები წმინდა  
მკაცრი მეცნიერული თვალთახედვის ისრის მიხედ-  
ვით:

„ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიური  
განვითარება თავის ბუნებრივი აუცილებლობით ანა-  
დგურებს წვრილ წარმოებას, რომლის საფუძველსაც  
შეადგენს მუშის კერძო საკუთრება, რაც გამოი-  
ხატება საწარმოო იარაღებში. იგი ხელიდანა  
გლეჯს მუშას წარმოების საშვალებას და ქმნის მას  
ბოგანო პროლეტარათ, ამავე დროს კი საწარმოო  
იარაღები ხდებიან თითო ოროლა კაპიტალისტების  
და მსხვილ მემამულეთა მონოპოლიათ.



ამ საწარმოო იარაღთა მონოპოლიზაციასთან ერთად ხდება დაქუცმაცებული წვრილი წარმოების განდევნა და მისი თანდათანობითი მოსპობა მსხვილი წარმოების მიერ. იარაღებს სცვლის მანქანები, რის მეოხებითაც გოლიათურის ნაბიჯით მიიწევს წინ ადამიანის შრომის წარმოება. მაგრამ ამ ცვლილების ყოველივე უპირატესობა ხდება კაპიტალისტთა და მსხვილ მემამულეთა მონოპოლიათ, პროლეტარიატისა და საშვალო წრის წვრილმან ბურჟუა გლეხთათვის, რომელნიც დღითი დღე ემხოზიან—ეს პროცესი ნიშნავს ხვალინდელი იმედის მოსპობას, სიღატაკის გაძლიერებას, შვევიწროებას, დამონაგებას, დამცირებას და გაყვლევას.

უფრო და უფრო იზრდება პროლეტართა რაოდენობა, უფრო და უფრო მრავლდება უსაქმო მუშათა ჯარი, უფრო და უფრო აშკარავდება წინააღმდეგობა გამყვლეველთა და გაყვლევითა შორის, უფრო და უფრო მწვავედება ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის კლასობრივი ბრძოლა, რომელიც თანამედროვე საზოგადოებას ჰყოფს ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ, რაც ნიშნობლივი თვისებაა ყველა სამრეწველო ქვეყნების.

უფსკრულს მდიდართა და ღატაკთა შორის, უფრო და უფრო აღრმავებს კრიზისები,—ეს კაპიტალისტებური წარმოების წესის არსებითი თვისება, რომელნიც ხდებიან თანდათან უფრო ხშირნი და გამანადგურებელნი. ეს კრიზისები მაჩვენებელია ხალხის განსაცდელის და საზოგადოების მდგომარეობის.

სინამდვილის. დამამტკიცებელია იმისი, რომ საზოგადოებმა წინ გაუსწრეს თანამედროვე საზოგადოებას, რომ ამიერიდან კერძო საკუთრება საწარმოო იარაღებზე ხელს უშლის ამ უკანასკნელთა საზოგადოების სასარგებლოდ შესაფერისათ მოხმარას და ხალხის ნორმალურ განვითარებას.

კერძო საკუთრება საწარმოო იარაღებზე, რომელიც ოდესღაც უზრუნველყოფდა მწარმოებლის უფლებას, რომ მას მისი შრომის ნაყოფი შერჩენოდა, დღეს გადაიქცა ღარიბი გლეხების, ხელოსნების, წვრილი ვაჭრების და მთელი მშრომელი ხალხის გაყვლეფის და მუშათა შრომის ნაყოფის არა მუშათა—კაპიტალისტების და მსხვილ მემამულეთა—ხელში გადასვლის და დასაკუთრების იარაღათ. მხოლოდ კაპიტალისტურ კერძო საკუთრების, საწარმოო საშვალეების—მიწის, მალარომადნების, ნედლი მასალის, იარაღების და მანქანების და ამასთან რკინის გზების და ფოსტა ტელეგრაფის საზოგადო საკუთრებათ გარდაქმნას და ვაჭრული წარმოების სოციალისტური წარმოებით შეცვლას, რაც უნდა მოხდეს საზოგადოებისაგან თვით საზოგადოების საკეთლდღეოდ, შეუძლია მიგვიყვანოს იქამდე, რომ მსხვილი წარმოება და საზოგადო შრომის გაძლიერებული ნაყოფიერება გაყვლეფილი კლასისათვის სიღატაკისა და შევიწროების წყაროს ნაცვლათ გარდაიქმნებიან უმაღლეს კეთილდღეობისა და ჰარმონიული განვითარების წყაროდ.

კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ





მუშათაკლასის ბრძოლა აუცილებელია, რომ პოლიტიკურ ბრძოლათ არ გადაიქცეს. მუშათა კლასს არ შეუძლია აწარმოოს ეკონომიური ბრძოლა და განავითაროს თავის ეკონომიური ორგანიზაცია, თუ ის მოკლებულია პოლიტიკურ უფლებებს. მას არ შეუძლია მიადწიოს საწარმოო იარაღების განსაზოგადოებას, თუ არ მოიპოვა და ხელთ არ იგდო პოლიტიკური ძალა. ამ მუშათა კლასის ბრძოლაში შეგნებისა და ერთობის შეტანა და გარკვევა და ჩვენება მისი ბუნებრივი და აუცილებელი მიზნის—სოციალდემოკრატიული პარტიის საკითხი. ყველა ქვეყნებში, სიდაც კი ბატონობს კაპიტალისტური წარმოების წესი, მუშათა კლასების ინტერესები ერთგვარია. რაოდენათაც ვითარდება და ძლიერდება მსოფლიო ადებ-მიცემობა და წარმოება საერთაშორისო ბაზარზე, იმდენათ თითოეული ქვეყნის მუშათა მდგომარეობას დამოკიდებულება სხვა ქვეყნების მუშათა მდგომარეობასთან თანდათან უფრო და უფრო ძლიერდება. ამიტომ მუშათა კლასის განთავისუფლება ხდება ისეთ საქმეთ, რომელშიაც თანასწორ მონაწილეობას იღებენ ყველა კულტურული ქვეყნების მუშები. სცნობს რა ამ ფაქტს გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტია, გრძნობს და აცხადებს თავის ერთობას ყველა სხვა ქვეყნების შეგნებულ მუშებთან. მაშასადამე გერმანიის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია იბრძვის ახალ კლასობრივ პრივილეგიათა და უპირატესობათა მოპოებისათვის კი არა, არამედ კლასობრივი ბატო-



ნობის და თვით კლასების გაუქმებისათვის. საყოველთაო თანასწორ უფლებათა და მოვალეობათა დამყარებისათვის ყველასთვის წოდებისა და სქესის განურჩევლათ, ამის მიხედვისა დაგვარათ იგი იბრძვის თანამედროვე საზოგადოებაში არა მხოლოდ დაქირავებულ მუშათა გაყვლეფისა და დაჩაგვრის წინააღმდეგ, არამედ ყოველგვარი ექსპლოატაციისა და მჩაგვრელობის წინააღმდეგაც, ვისაც უნდა შეეხებოდეს იგი, კლასს, პარტიას, სქესს ან რომელიმე რასას.

ამ პრინციპების მიხედვით გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია თავდაპირველათ მოითხოვს:

1) საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ საარჩევნო უფლებას, ფარული კენჭის ყრით სახელმწიფოს ყველა ქვეშევრდომთათვის სქესის განურჩევლათ ყოველგვარ არჩევნებისა და კენჭის ყრაში, პროპორციონალურ საარჩევნო სისტემას და ვიდრე ეს განხორციელდებოდეს საარჩევნო ოლქების ხელახლო განწესრიგებას კანონმდებლობით, მცხოვრებთა თითოეული ხელახალი აღწერის შემდეგ, საკანონმდებლო დროს ორი წლით განსაზღვრას, არჩევნების და კენჭის ყრის დანიშვნას დაკანონებულ უქმედებებში, პოლიტიკურ უფლებათა ყოველნაირ განსაზღვრის გაუქმებას აპეკის დანიშვნის შემთხვევის გარდა.

2) პირდაპირ სახალხო კანონმდებლობის წინადადების და უარყოფის უფლებით სახალხო თვით-



გამორკვევას და თვითმართველობას იმპერიასა, სახელმწიფოსა და თემში. თანამდებობის პირთა ხალხისაგან არჩევას და მათს პასუხის მგებლობას სისხლის სამართლისა და სამოქალაქო წესით. გადასახადების ყოველ წლიურათ ხალხისაგან დამტკიცებას.

3) ხალხის გაწვრთნას საყოველთაო შესაიარაღებლათ. სამუდამო ჯარის სახალხო მილიციით შეცვლას, ომისა და მშვიდობიანობის საკითხების გადაწყვეტის ხალხის წარმომადგენელთა ხელში გადაცემას და ყოველგვარი საერთაშორისო დავის სამედიატორო სამართლით გადაწყვეტას.

4) ყოველგვარი კანონების გაუქმებას, რომელნიც კი ზღუდავენ ან ავიწროებენ აზრის თავისუფალ გამოთქმას და უფლებას კავშირებისას და კრებისას.

5) ყოველგვარ კანონების გაუქმებას, რომელნიც კი ზღუდავენ დედაკაცს მამაკაცთან შედარებით საზოგადოებრივ და კერძო უფლების ფარგალში.

6) საეკლესიო და სარწმუნოებრივი კრებულები უნდა განხილულ იქმნას, როგორც კერძო კავშირები, რომელნიც სრულიათ და დამოუკიდებლათ განაგებენ თავიანთ საქმეებს.

7) საერო სკოლას, საყოველთაო სავალდებულო სწავლის საზოგადო სახალხო სკოლებში, უფასო უსასყიდლო სწავლას, სასწავლო ნივთებისა და

საზრდოს უსასყიდლოთ ძლევას, როგორც საზოგადო სახალხო სკოლებში, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებშიაც იმ მოწაფეთათვის, რომელნიც თავისი ნიჭით აღმოჩნდებიან სწავლის განგრძობის ღირსი.

8) სამართლის უსასყიდლოთ წარმოებას და იურიდიულ დახმარებას. სამსჯავროს გადაცემას ხალხისაგან არჩეულ მოსამართლეთა ხელში, სისხლის სამართლის საქმეთა განსაჩივრების უფლებას, უდანაშაულოთ დატყვევებულთა და დასჯილთა დაჯილდოებას და სიკვდილით დასჯის გაუქმებას.

9) უფასო საექიმო დახმარებას, რაშიაც სხვათა შორის უნდა ვიგულისხმოთ მშობიარობის დროს დახმარებაც და მედიკამენტებიც. უსასყიდლო დასაფლავებას.

10) შემოსავლისა და შეძლებისადაგვარ პროგრესიულ გადასახადს, ყველა საზოგადო ხარჯების დასაფარავათ, რაოდენათაც ეს ხარჯები იხურებიან საზოგადოთ გადასახადების დახმარებით. თვით დაფასების ვალდებულებას, სამემკვიდრო გადასახადის შემოღებას სამკვიდროს რაოდენობის, პროგრესიული ზრდის და ხარისხის მიხედვით. ყველა ფარული გადასახადების, ბაჟებისა და სხვა და სხვა სამრეწველო პოლიტიკურ ხრიკების გაუქმებას, რომელთა მეოხებითაც საზოგადო ინტერესები მსხვერპლათ ეწირება უპირატეს პირობებში მყოფ უმცირესობის ინტერესებს.



მუშათა კლასის დასაცავათ გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტია ყველაზე უწინარეს მოითხოვს:

1) ნამდვილ საერთო სახალხო კანონმდებლობას მუშათა დასაცავათ, შემდეგ საფუძველზე: ა. ნორმალურ სამუშაო დღის არა უმეტეს 8 საათის დაწესებას. ბ. თოთხმეტი წლის ნაკლებ ბავშვთა მუშაობის აღკრძალვას. გ. ღამლამობით მუშაობის აღკრძალვას ყოველგვარ სამრეწველო დარგებში, გარდა იმ დარგებისა, რომელნიც თავისი ბუნებით ან ტექნიკური მიზეზებით, ან დასაზოგადო კეთილდღეობის ინტერესების მიხედვით თხოულობენ ღამლამობით მუშაობას. დ. ყოველკვირეულ მოსვენებას მუშათათვის ხანგრძლიობით არა ნაკლებ 36 საათისას. ე. truck — სისტემის აღკრძალვას.

2) ყველა სამრეწველო წარმოების თვალყურის გდებას, საიმპერიო შრომის უწყების საოლქო შრომის გამგეობათა და შრომის კამერათა დაწესებას და მათი საშვალგებით მუშათა მდგომარეობის გამოკვლევასა და მოწესრიგებას. საფუძღვიან საფაბრიკო ჰიგიენას.

3) მეურნე მუშებისა და მოსამსახურეების გათანასწორებას სამრეწველო მუშებთან ყოველგვარ უფლებებში, შინა მოსამსახურეების შესახებ დებულებების გაუქმებას.

4) კოალიციათა უფლების უზრუნველყოფას.

5) მუშათა ყოველგვარ დაზღვევის სახელ-  
მწიფოს ხელში გადასვლას დაზღვევის საქმეთა  
წარმოებაში მუშათა ხელმძღვანელ მონაწილეო-  
ბით.

---



# ჩვენს მაღაზიაში იყიდება

შემდეგი ქართული სამეცნიერო წიგნები:

ბ. ტისანდე. მეცნიერების. წამებულნი	. 1	„
მადავოზოვი. ინგლისელები, გერმანელები, და იტალიელები, თითო . . . . .	. „ 30	
ბიკოვი ამბები ინგლისის ისტორიიდან	. „ 50	
ბ. ძაუცკი. ისტორიულ-ეკონ. ნარკვევი	. „ 20	
ივ. ზომართელი. შილდერის პოეზ. თვისებ.	„ 20	
მ. ძოვალევესკი. ოჯახის და საკუთრების წარ- მოშობა განვითარება. . . . .	. „ 20	
პოლ. ლაფარგი. მანქანის მნიშვნელობა	. „ 10	
მასსე. ლუკმა პურის ამბავი . . . . .	. „ 60	
ი. ბელკონსკი. ერობა და თვით მართვ.	. „ 10	
ძარლ მარქსი. ვაჭრობის თავისუფლება	. „ 10	
ლუნკევიჩი. მწვანე სამეფო . . . . .	. „ 20	
მიჟუევი. მოწინავე დემოკრატია . . . . .	. „ 60	
ავგ. შლდეინერი. დარვინის თეორია . . . . .	. „ 20	
ალ. მირიანაშვილი. ფიზიკა . . . . .	. „ 15	
ბ. სტატკოვესკი. მიკროსკოპ. ორგანიზმი	. „ 20	
რუბაკინი. ბუნების საოცარი მოვლენანი	. „ 15	
ალ. წულუკიძე. ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან . . . . .	. „ 50	
მანტეგაცა. შრომა და ბედნიერება . . . . .	. „ 30	
სამი სიტყვა ანუ თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა-ერთობა ივ. მაჭავარიანისა . . . . .	. „ 5	

როგორ უნდა მოხდეს ხალხის წარმომადგენ-	
ლების არჩევნები? ა. ლომთათიძისა.	„ 4
ლეკმა პურის ამბავი, ანუ ნაწყვეტები პოლი-	
ტიკური ეკონომიიდან, დიკუტენისა .	„ 6
თავისუფლებისათვის მებრძოლნი ა. არნუს .	„ 5
ღედაკაცი. თარგ. ა. ლომთათიძისა.	„ 6





40

1560/15



# ზანის მართი ზაზრა.

## ჩვენი გამოცემანი

- „საამბროთი სასახლსო მიშლითოქა“
- № 13 ოჯახისა და საკუთრების წარმოშობა განვითარება, ოჯახი და პირველყოფილი კომუნისში მ. კოვალევსკისა 20 კ.
  - „ 14 შრომა და კაპიტალი, იგივე მრეწველობის განვითარება ბ. ს. თარგ. ვ.—ისა 15 „
  - „ 15 მარჯნები და ადამიანები ნ. რუბკინისა 10 „
  - „ 16 რა უნდათ სოციალ-დემოკრატებს— ვ. ლ—ტისა, თარგმ. სპ. ქელიძისა . 5 „
- ევნატე ნინოშვილის (ინგოროყვას) სურათები შვიდფერზე დაბეჭდილი კარგს ქალაქზე თითო . . . . . 20 „

### ი ყ ი დ ე ბ ა

- ბათუმში** ჩვენს წიგნის მაღაზიაში.
- ჭუთაისში** რუსთაველთან და ბეჟანეიშვილთან.
- სამბრედიში** გიორგი ბახტაძესთან.
- ფოთში** ფისეულიანის წიგნის მაღაზიაში.
- ჭიათურაში** პარმენ შველიძესთან.
- გორში** არსენ კალანდაძესთან.
- თბილისში** ვასილ გადილიასთან.

უმათავრესი საწყობია: **ბათუმში** გამომცემლის წიგნის მაღაზიაში და **თბილისში** მის ბინაზედვე, ჩვენი ადრესი არის: **въ Тифлисъ, Спиридону Челидзе, уголь Магистральной и Бригадной улицъ, домъ Николая Стаджалзе, 10-ти участокъ.** ვინც ჩვენს გამოცემებს ჩვენგანვე გამოიწერს გასასყიდათ ნაღდათ დაეთმობათ 20—30 პროცენტამდე.

სპ. ჭელიძე.

პარლამენტის პრეზენტი გიგლიძეთა



K 17.451/2

